

იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

## გიორგი ბეჟითაშვილი

ჩართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაცია  
ეპოქა (1921-1953 წ.წ.)

07.00.01 – საქართველოს ისტორია

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

მ ა ც ნ ა

თელავი – 2012

ნაშრომი შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიჩარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

#### მლოცვალაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

შემფასებლები:

#### მლოცვალაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### მამაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2012 წლის 23 ოქტომბრის 12 საათზე. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიჩარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი – 2200, ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე უნივერსიტეტის გებ-გვერდზე განთავსდა 2012 წლის 23 ოქტომბრის.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ნ. კოჭლოშვილი

#### სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**პრობლემის აქტუალობა.** გასული XX-საუკუნის პირველმა ათწლეულმა უკიდურესად დაძაბა კაცობრიობის განვითარების საერთაშორისო ისტორიული ვითარება. გასული საუკუნის პირველი ნახევარი მძიმე მოვლენებით აისახა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. საქართველო მოქაცა მაშინდელი სამყაროს უდიდესი და ძლიერი სახელმწიფო მეცნიერების გერმანიის, ინგლისის, რუსეთის, ოსმალეთის (თურქეთი) სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების გარემოში. თითოეულ მათგანს, თითოეულ სახელმწიფოს, თავისი მიზნები და მისწავლებები ამოძრავებდა. ეს ქვემნები თავისი მაშინდელი ხელისუფლების მეოხებით ცდილობდნენ დიპლომატიური, პოლიტიკური თუ აშკარა სამხედრო ძალებით, გაბატონებულიყვნენ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში. მათვის ხელსაყრელი იყო საქართველოს გეოპოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობის გამოყენება.

ასე აღმოჩნდა საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებში, მიმდინარე მოვლენებში სხვადასხვა ფორმით ჩაბმული. ამ ურთიერთობათა შესწავლა, მოვლენების მეცნიერული ანალიზი და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება წარმოადგენს ისტორიული მეცნიერებისთვის ურთულეს, საჭირო, აქტუალურ პრობლემას.

**პრობლემის სირთულიდან გამომდინარეობს მისი შესწავლის აქტუალობა.** მიგვაჩნია, რომ XX-საუკუნის 20-50-იანი წლები საქართველოსთვის იყო უაღრესად დაძაბული, ტრაგიზმით გამორჩეული, საშინაო და საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სამხედრო ურთიერთობის დარგში.

ასეთი აქტუალური პრობლემის, ცალკეული საკითხების, განვითარებული ისტორიული მოვლენების კვლევა, მათი მეცნიერული ანალიზი თანამედროვე ვითარებაში, ერთ-ერთი და არა ერთადერთი აქტუალური პრობლემაა. ასეთი აქტუალური პრობლემის მეცნიერულ ანალიზსა და მისი გამოცდილების გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის.

საკვლევი პრობლემა ეხება XX-საუკუნის 20-50-იანი წლების საქართველოს და მის მეზობელ სახელმწიფოებში განვითარებული ისტორიული პროცესების შესწავლას. შევეცადეთ გაგვერდვია, ევროპის დიდი ქვეყნების პოლიტიკური ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული აქტუალობით გამოიჩინდა საქართველოს, რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიის მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიური

განსხვავებულობა რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საკვლევ პრობლემას.

**სადისერტაციო ნაშრომის პრობლემა:** საკვლევ პრობლემაზე დაკავირვებამ, მისმა სამეცნიერო აქტუალობამ, განაპირობა ჩვენთვის მეტად საინტერესო სადისერტაციო ნაშრომის პრობლემა – საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრა-შეფასება.

სადისერტაციო ნაშრომის პრობლემა განეკუთვნება პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) წლების შემდგომ საქართველოში და მის მეზობლად განვითარებული ისტორიული პროცესების შესწავლას. საქართველოში დამყარდა დემოკრატიული რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი მმართველობა (1918 წლის 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე). ვფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლებაში აღმოჩნდა არც თუ ძლიერი პოლიტიკური ნების ადამიანთა ჯგუფი, რასაც შედეგად მოჰყვა შემდგომში ქვეყნისთვის რთული და მტკიცნეული მოვლენები, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა ქართულ საზოგადოებაზე.

ვფიქრობთ, სადისერტაციო ნაშრომის პრობლემა განეკუთვნება ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის მძიმე ცხოვრებას ევროპის ქვეყნებში. განსაკუთრებით ურთულესი აღმოჩნდა ემიგრანტთა პოლიტიკური ურთიერთობის მოწესრიგება დასავლეთში ჩამოყალიბებულ და გავრცელებულ ფაშისტურ იდეოლოგიასთან. ეს იყო ურთულესი გზა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, სრულიად განსხვავებული ახალი ისტორიული ვითარება ქვეყნისთვის.

კვლევის პრობლემა ეხმანება თანამედროვე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და კონფლიქტურ მდგრმარეობას, რაშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია XXI-საუკუნის 10-იანი წლების ქვეების შიგნით მიმდინარე რეფორმებს და საერთაშორისო არენაზე ქვეენებთან სრულიად ახალ ურთიერთობებს. ყოველივე ეს ემყარება მდიდარი ისტორიული გამოცდილების პრაქტიკულ გამოყენებას, რაც იძლევა საფუძველს საქართველოს სოციალური ვითარების მომავალი გაუმჯობესებისათვის.

მიგვაჩნია, სადისერტაციო ნაშრომის პრობლემა არა მარტო საინტერესო სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის, არამედ ის უაღრესად აქტუალურ ისტორიულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება. ასეთი აქტუალური პრობლემა ქართული ისტორიული მეცნიერებისთვის გამორჩეული დაგირგების საფუძველს წარმოადგენს, ის დიდი შემეცნებითი ღირებულების ამსახელია, რითაც შეიძლება განისაზღვროს საქართველოს მნიშვნელობა, გასული XX-საუკუნის

20-50-იანი წლების მსოფლიო ისტორიულ მოვლენებში.

**საკვლევი პრობლემის აქტუალობა:** სადისერტაციო საკვლევი პრობლემა აქტუალურია იმითაც, რომ მას გამორჩეული ადგილი უკავია XX-საუკუნის 20-50-იანი წლების ზოგადსაკაცობრიო მოვლენებში, ქართულმა ემიგრაციამ ევროპულ სამყაროში თავისი დამოკიდებულება, უაღრესად აქტიურად გამოხატა ცხოვრების თითქმის ყველა დარგში, რომელთა კვლევა ქართული მეცნიერების ძირითად ამოცანას წარმოადგენს. თანამედროვე ვოთარებაში ქართული ისტორიული მეცნიერული აზრი აქტიურად, დიდი ინტერესით და დაკავირვებით იკვლევს ქართული ემიგრაციის ძირითად საკითხებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სადისერტაციო ნაშრომის პრობლემის აქტუალობას.

ქართული ემიგრაციის საქმიანობის ისტორია ევროპის ქვეყნებში აქტუალურია არა მხოლოდ სადღეისოდ, არამედ სამომავლოდაც, მათმა ბევრმა შთამომავალმა თავისი ღირსეული ქვალი დატოვა ნიჭიერებითა და გამოცდილებით, რაც საფუძველს იძლევა გაგრძელებეს სამომავლოდ ასეთი აქტუალური ისტორიული პრობლემის მეცნიერული შესწავლა.

**სადისერტაციო საკვლევი თემა:** საკვლევი პრობლემის აქტუალობამ განსაზღვრა ჩვენი დაინტერესება ქართული ემიგრაციის ისტორიისადმი. პრობლემის ძირითად საკითხებზე დაკავირვების შედეგად გამოიკვეთა კვლევისთვის საჭირო მიმართულება – საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრა-შეფასება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიზეზები და მათი განსახლება ეპროპის ქვეყნებში, მათი პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობა, მათი მსოფლმხედველობა და საზოგადოებრივი გაერთიანებები, მათი სოციალური ღონება და სამეცნიერო-კულტურული ვითარება, მათი ადგილი და როლი ევროპის ქვეყნების ცხოვრებაში. ასეთი საკითხების შესწავლის აუცილებლობამ განსაზღვრა ჩვენი სადისერტაციო საკვლევი თემა: – „ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაცია ევროპაში“. (1921-1953 წ.წ.).

ვფიქრობთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ასეთი სახით, კერძოდ სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის სახით, ევროპის ქვეყნებში წასული ემიგრანტების ცხოვრება-საქმიანობის შესწავლა, ცალკე საკვლევი თემის სახით, სრულიად სამართლიანად ემყარება თანამედროვე პირობებში ისტორიული მეცნიერების წინაშე წამოჭრილ ახალ მოცანებს.

**საკვლევი თემის აქტუალობა:** სადისერტაციო ნაშრომის პრობლემის აქტუალობამ განაპირობა ჩვენი დაინტერესება საკვლევი

თემის: – „ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაცია ევროპაში, (1921-1953 წ.წ.)“. შერჩევა და შესწავლა.

ვფიქრობთ, ჩვენს მიერ სადისერტაციო საკვლევ თემად შერჩეული მასალა უაღრესად აქტუალურია თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისთვის, ასეთი ისტორიული გამოცდილების გაზიარება-გამოყენება, მნიშვნელოვანია ძლიერი პოლიტიკური ხელისუფლებისა და ქვეყნის შეიარაღებული ძალების შემდგომი სრულყოფისთვის.

**სადისერტაციო საკლევი თემის მეცნიერული სიახლე:** ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის ევროპის ქვეყნებში წარმოებული საქმიანობის ისტორია სრულიად პირველად არის კომპლექსურად შესწავლიდი და გაანალიზებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

სადისერტაციო თემის კვლევისას დავრწმუნდით, რომ ცალკე უნდა შეგვესწავლა პოლონეთში ქართული სამხედრო ემიგრაციის გენერლების, ოფიცრების, იუნირების თავგადასავლები, საბრძოლო საქმიანობის ისტორია.

სიახლეა ისიც, რომ კომპლექსურად შეისწავლება ევროპის ქვეყნებში ქართული ემიგრანტების მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათი კომიტეტების მსოფლმხედველობა, მიზნები, ცალკეულ პოლიტიკურ წარმომადგენელთა საქმიანობა. ახლად შემოგვაქს ქრონოლოგია 1921-1953 წ.წ.

სიახლეა ისიც, რომ სრულიად დამოუკიდებლად შევისწავლეთ ანტისაბჭოთა ემიგრანტული გამოცემების შინაარსი და მნიშვნელობა.

სიახლეა ისიც, რომ ძირითადად გავაანალიზეთ საქართველოს ხელისუფლების, მისი კონტრდაზვერვის მასალები ემიგრანტების საქმიანობის შესახებ.

**კვლევის მიზანი:** სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ძირითად მიზანის წარმოადგენს XX-საუკუნის 20-50-იანი წლების საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური, სოციალურ-კონომიკური პრობლემების შესწავლა.

განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ XX-საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს მძიე მდგომარეობის გაანალიზებას, რომ ჩამოყალიბდა პირველი ქართული დემოკრატიული რესპუბლიკა, რასაც საფუძველი დაუდო 1918 წლის 26 მაისის ღონისძიებამ და რამაც განსაზღვრა სრულიად ახალი მიდგომა ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის: უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა გახდა – დემოკრატიული კონსტიტუციის მიღება; ამ კონსტიტუციას არსებობის მცირე პერიოდი პონდა. 1921 წლის 25 თებერვალს მან

მოქმედება შეწყვიტა. ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობების მოწესრიგება; აზერბაიჯანთან, სომხეთთან, რუსეთთან, გერმანიასთან, საფრანგეთთან, ინგლისთან, ოსმალეთთან.

ჩვენს მიზანს შეადგენს საარქივო მასალების საფუძველზე და არსებული გამოცემის კრიტიკული ანალიზის მიხედვით, განვიხილოთ XX-საუკუნის 20-იანი წლებიდან დაწყებული ურთულესი პერიოდი საქართველოს ისტორიაში.

მიგვაჩინია, რომ თანამედროვე პირობებში ძნელი და აუცილებელია საქართველოს ისტორიის XX-საუკუნის 20-50-იანი წლების მოვლენების მიზანმიმართული, მეცნიერული ანალიზი, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის შეფასებისთვის.

მიზნად დავისახეთ ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის პრობლემის მიუკერძოებული კვლევა, ადრე აღიარებული შეხედულებების, კონცეფციების, შემოთავაზებული დირქებულებების ახლებური გააზრება თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთანავე, ჩვენს მიზანს შეადგენდა, პრობლემის ძირითადი საკითხების განმაზოგადებელი მონაცემები ჩამოგვევალიბებინა ცალკე მონოგრაფიული გამოკლევის სახით: მიზნად დავისახეთ ისიც, რომ სანიმუშოდ, უფრო ვრცლად განგვეხილა, გასული საუკუნის 40-იანი წლების საერთაშორისო, ზოგადსაკაცობრიო მოვლენებში ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის ადგილი და მნიშვნელობა.

**სადისერტაციო ნაშრომის ისტორიოგრაფია და წერტილითებულებითი ბაზა:** XX-საუკუნის 20-50-იანი წლების საქართველოს სოციალურ-კონომიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ვითარების, საერთაშორისო ურთიერთობების, ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის ადგილისა და როლის, საერთოდ ამ რთული წლების მორალური სიმძიმის არსი მეტნაკლები სისრულით არის წარმოდგენილი ქართულ თუ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მონოგრაფიებში, ცალკეულ გამოკლევებში, პერიოდულ გამოცემებში, სტატიებში, ამ ეპოქის საკავშირო და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, ეს ყოველივე ქმნის პრობლემის ისტორიოგრაფიულ სივრცეს, რასაც მივუძღვენით ნაშრომის მეორე თავი.

ჩვენი საკვლევი ნაშრომის ცალკეული საკითხები განხილულია სხვადასხვა კუთხით საქართველოში გამოცემულ მონოგრაფიებში, მოგონებებში: ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოცემულ წიგნში – „საქართველოს ისტორია“ (1980); „საქართველოს ისტორია“, ტ. II. (1962); მ. ნაომელაძის სტატია ემიგრანტუ-

ლი ლიტერატურის შესახებ ფართოდ არის წარმოდგენილი, XIX-ს მეორე ნახევრისა და XX-საუკუნის 20-იანი წლების მოვლენების მსვლელობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: გ. სულაძის ნაშრომი „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და საქცსამსახურები“ (2010); ა. სურგულაძისა და პ. სურგულაძის წიგნი – „საქართველოს ისტორია, საკითხევი წიგნი“; ნ. ჯავახიშვილის – „ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ“ (1998); ე. კუპატაძე ქართული ეროვნული დივიზიები დიდ სამატელო ომში. თბ. 2011. ვ. ბენიძის – „საქართველოს სოციალ-პოლიტიკური მდგრამარებელი და სახელმწიფოებირიობისათვის ბრძოლა 1920-1925 წ.წ. – თბ. 1999 (ცვლილებები ემიგრანტული მთავრობისა და პოლიტპარტიების ბრძოლის ტაქტიკაში); შ. მურუსიძის – „ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კვლევის პრობლემები“; ც. ჩხარტიშვილი „პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი საკითხები“ (ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, „2008); მ. ქებაძე – „პოლონეთი ქართველების მეორე სამშობლო“, ელ. მამუკალაშვილი – „ჩვენები“ (2009); მისივე – „ქართული სამხედრო ემიგრაცია ეპოპაში“, – ელ. მამუკალაშვილი – ქართველი ემიგრანტები ვერმახტის სამსახურში“. რ. კარაზინი – „ქართველი ოფიცრები პოლონეთის ჯარში“ (1965 წ. ცნობები XVI-XVII საუკუნეების ისტორიისათვის“); შევისწავლეთ ქართულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალები; უმეტესად გაზ. „კომუნისტიდან“ – „გამოფხიზლების ხმები ქორდანია-რამიშვილის ბანაკიდან“; „პარიზში მყოფ ქართველ მუშა მენ-შევიქების დეკლარაცია“; ასევე გამოვიყენეთ არსებული ცნობები გერმანიაში, ბერლინში, ჩამოყალიბებული ფაშისტური ორგანიზაციების საქმიანობაზე, მათ მონაწილეობაზე მეორე მსოფლიო ომში, კაგასიის ფრონტზე მიმდინარე საომარ ოპერაციებში (1942/1943 წ.წ.); გავანალიზეთ ანტისაბჭოთა ემიგრანტული გამოცემების შინაარსი („თავისუფლების ტრიბუნა“, „გუშაგი“, „თეორი გიორგი“, „სამხედრო უურცელი“, „მომავალი“, „ახალი საქართველო“, „პავკასიონი“, „სამშობლოსათვის“).

ასევე, გ. შარაძე „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტბ. 1993 წ. „მერანი“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული“ №1990; ტ. ცხოვრებაძე, „ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი“. 1921-1924 წ. თბ. 1996.

გამოვიყენეთ ქართული გენერალიტეტის საქმიანობის ამსახელი მდიდარი მასალა მ. გოგიტიძის რუსულენოვანი გამოცემიდან – „Военная элита Кавказа (Генералы и адмиралы из Грузии). Тб. 2007.

მიმოვისილეთ ჟურნალ „ახალი პოლონეთის“ სპეციალური ნომერი ქართულ ენაზე გამოცემული 2001 წლის, ა. ვოენიაკის წერილით, „ქართული ემიგრაციის საზოგადოებები და ორგანიზაციები პოლონეთში“.

ასევე პარიზში, 1937-1939 წლებში არსებული პატრიოტული ორგანიზაციის – „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა“ – მასალები.

გამოვიყენეთ ლ. ბერიძის მოხსენებების შინაარსი და შეფასებები „ქართული ემიგრაციის პოლიტიკური კომიტეტების სამხედრო საქმიანობის“ თაობაზე, ასევე საბჭოთა საგარეო დაზვერვის მონაცემები – „ქართული ნაციონალური კომიტეტის“ საინიციატივო ჯგუფისა და მის საქმიანობაზე, მათ ურთიერთობაზე 1944 წლის პიტლერის ინიციატივით შექმნილ ე.წ. – „რუსეთის ერების განთავისუფლების კომიტეტთან“. მასალები ქართული ემიგრანტული დეგიონების შექმნის საიდუმლო განკარგულების მოთხოვნებზე.

ისტორიული მოვლენების შეფასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ემიგრანტი გენერლების მოგონებებს – გ. კვინიტაძე „ჩემი მოგონებები“, ტ. I-II, თბ., 1999; შ. მაღლაკელიძე – „ქართველები გერმანიის დროშის ქვეშ“.

გამოვიყენეთ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ჰარვარდის კოლექცია კოდ. 75, ყუთი 4, საქად. 3. საქმე 7; ფ. 2514; ფ. 259; ცამო CCCP. 224; ფ.74456; ფ. 202; ფ. 48-A; ფ. 209; ფ. 69; ფ. 1089; ფ. 351; ფ. 242; ფ. 414; ფ. 406; ფ. 34.

მნიშვნელოვანი მასალები გამოვიყენეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საარქივო სამმართველოს ფონდებიდან: ფ. 6; საქმე 23789-61, საარქ. 24289, ყუთი 36, საქმე 25494, საარქივო 29474, ტ. 2, ყუთი 71; საქმე 23690-61, საარქ. 24214, ყუთი 28, საქმე 1334, საარქივო 3304, ტ. 2, ყუთი 2, საქმე – 21323, 2212, 23135, 22385, 24214, 29474, 22250.

**სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიური პარამეტრები** ნაშრომის მსოფლმხედველობრივ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგნს XX-საუკუნის ურთულების ისტორიული მოვლენების ობიექტები შესწავლა, გაგება, ფაქტებისა და პროცესებისადმი თანამედროვე სახელმწიფოებრივი მიდგომა, რაც სრულად უზრუნველყოფს გასული საუკუნის გაბატონებული იდეოლოგიის შეფასებათა გადასინჯვას, კრიტიკულ ანალიზს და ისტორიულ შეფასებათა ახლებურ გაზარებას.

**საკვლევი ნაშრომის მეთოდად გამოვიყენეთ კრიტიკულ-ანალიტიკური მეთოდი, მიზეზ-შედეგობრიობის საყოველოაო კავშირის ისტორიზმის პრინციპები, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი,**

სისტემური თანამიმდევრული კვლევის მეთოდი და მათზე დაყრდნობით კი ისტორიზმისა და ლოგიკურობის აუცილებელი დაცვის პრინციპი.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა:** სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგრმარეობს შემდეგში: ა) საკვლევი პრობლემისა და თემის ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებული დასკვნები გამოყენებული იქნება მომავალ კვლევებში; ბ) ჩვენი კონცეფციები აუცილებლად ყურადსაღებია უახლესი დროის ისტორიული მოვლენების შესწავლის პროცესში; გ) მისი გამოყენება შეუძლიათ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულთ; დ) ჩვენი კვლევის პროცესში მოვლენელი ობიექტური მასალა დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემაზე მომუშავე მკლევარებს; ე) განსაკუთრებული პრაქტიკული დირექტულებისაა წარსული ისტორიული გამოცდილების გამოყენება თანამედროვე პირობებში ქვეყნების, სახელმწიფოების, ხალხთა შემდგომი სრულყოფილი თანადგომისა და ურთიერთობისთვის.

**საკვლევი თემის ქრონოლოგიური ჩარჩო –** მოიცავს XX-საუკუნის 20-50-იანი წლების მოვლენების მიმდინარეობას მსოფლიოში და მასთან ერთად საქართველოში.

შიგვაჩნია, XX-საუკუნის 20-40-იანი წლების საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი ტრაგიკული მოვლენები, დიდად არის განპირობებული ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში არსებული რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარებით. ეს პერიოდი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ურთულესი პერიოდია, მის გაანალიზება-შესწავლას გარეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა სჭირდება.

საერთოდ უახლესი დროის ისტორიაში და კერძოდ ქართული ისტორიოგრაფიაში პირველად შემოვიტანეთ სრულიად ახალი ქრონოლოგიური გაანგარიშება, რომელიც ობიექტურად ემყარება პროცესების მსვლელობას და სამართლიანად იმსახურებს აღიარებას.

**ნაშრომის აპრობაცია:** სადისერტაციო ნაშრომისთვის გათვალისწინებული რევიზორის დამხმამა, მიპრიოს შემადგენლობაში მოქცეულ არა რუს ხალხს ეროვნული თავისუფლების მიედი და მისწრაფები გაუძლიერა. პოლონეთში, ფინეთში, უკრაინაში ამოქმედდნენ პროგრესულად მოაზროვნე ძალები და დამოუკიდებელი სახელმწიფო მოწყობის საკითხი დააყენეს. ასეთივე დამოკიდებულება გამოიკვეთა საქართველოშიც. ეს ძალები იზიარებდნენ იმ აზრს, რომ მირითად ამოცანას, იმ დროისათვის, წარმოადგენდა არა ეროვნული თვითგამორკვევა, არამედ რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნება რუსეთში, რაც შესაძლებელი იყო მთელი ქვეყნის რევოლუციურ ძალთა მთლიანობით. ცხადია, ასეთი მიღვომა სრულიადაც არ გამოხატავდა ხალხთა ინტერესებს, რაც მაღლ დადასტურდა 1917 წლის 25 ოქტომბერს დროებითი მთავრობის დამხობით.

კვლევის შედეგები განიხილებოდა მირითადად თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონალ-მასტაკლებელთა, დოქტორანტობა, მაგისტრანტობა და ბაკალავრობა გაერთიანებულ თეორიულ კონფერენციებზე. წარდგენილ მოხსენებათა შინაარსი, სტატიების სახ-

ით, გამოიცემოდა ცალკე შრომებად.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი თეორიული განზოგადებები დროდადრო ქვეყნდებოდა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის სამეცნიერო აღიარებულ გამოცემებში, უერნალებში. მათ შორის ბაქოსა და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტების გამოცემებში.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:** სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავალის, ხუთი თავისა და დასკვნებისგან. ნაშრომის მოცულობა 192 გვერდია, დართული აქვს გამოყენებული საერთო ლიტერატურისა და საარქივო მასალების ნუსხა.

კვლევის ძირითადი საკითხები გაანალიზებულია ცალკე თავების შინაარსში, დართული აქვს დასკვნები თავების ბოლოს, 13 პარაგრაფში გადმოცემულია დაკვირვების შედეგები.

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი:** ნაშრომის შესავალ ნაწილში გადმოცემულია საკვლევი პრობლემის ისტორიული ღირებულება, მისი აქტუალობა, მეცნიერული სიახლე, განსაზღვრულია კვლევის ძირითადი მიზანი, განზოგადოებულია კვლევის მეთოდოლოგია, პრინციპები, გათვალისწინებულია თანამედროვე მეთოდოლოგიური საფუძვლები, მიმოხილულია პრობლემის ისტორიოგრაფიული და წყაროთმოდნებობითი ბაზა, ჩამოყალიბებულია მეცნიერული სიახლე, მიღებული დასკვნები და კონცეფციები.

## თავი I. ქართული სამხედრო-პოლიტიკური

ემიგრაციის (1921-1953) მიზეზები

**§.1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო ვთარება.**

რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ თვითმეწრობელური რევიზორის დამხმამა, მიპრიოს შემადგენლობაში მოქცეულ არა რუს ხალხს ეროვნული თავისუფლების მიედი და მისწრაფები გაუძლიერა. პოლონეთში, ფინეთში, უკრაინაში ამოქმედდნენ პროგრესულად მოაზროვნე ძალები და დამოუკიდებელი სახელმწიფო მოწყობის საკითხი დააყენეს. ასეთივე დამოკიდებულება გამოიკვეთა საქართველოშიც. ეს ძალები იზიარებდნენ იმ აზრს, რომ მირითად ამოცანას, იმ დროისათვის, წარმოადგენდა არა ეროვნული თვითგამორკვევა, არამედ რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნება რუსეთში, რაც შესაძლებელი იყო მთელი ქვეყნის რევოლუციურ ძალთა მთლიანობით. ცხადია, ასეთი მიღვომა სრულიადაც არ გამოხატავდა ხალხთა ინტერესებს, რაც მაღლ დადასტურდა 1917 წლის 25 ოქტომბერს დროებითი მთავრობის დამხობით.

ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გააქტიურდა თვითგამორკვევისკენ მისწრაფება მრავალეროვან ამ-

იერკავკასიაში. ამ დროისათვის მომწიფებული იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნის საკითხი. ამავე წლის 19 ნოემბერს სახაზინო თეატრში შეიკრიბა ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი, 324 დელეგატი. შეპრეზა გახსნა აკაკი ჩხერიგელმა. მან საზი გაუსვა ეროვნულ-სახელმწიფოებრიობისკენ მისწრაფებას. აქ „ეროვნული საბჭოს“ შექმნა იყო უმნიშვნელოვანები მიმართულება საქართველოს დამოუკიდებლობის შემთხვების გზაზე.

ძალიან მაღვ, საქართველოს ეროვნულ საბჭოს გაწეული ჰქონდა პრაქტიკული სამზადისი საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის. 1918 წლის 26 მაისს, ამიერკავკასიის სეიმის დაშლის დღესვე, გაიმართა მთავრობის სხდომა, რომელიც გახსნა ნოე ქორდანიამ. მან თავის სიტყვაში აღნიშნა: – „ქართველი ერის დღვანდელი მდგრამარება აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობის თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს“. საბჭომ მიიღო და გამოიქვენა ეროვნული ყრილობის დეკლარაცია.

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას ხელი მოაწერა ასზე მეტმა ადამიანმა, რომელიც უცვლელად დაამტკიცა დამუშანებელმა კრებამ 1919 წელს, ოქტომბრის თვეში.

ასე ჩამოყალიბდა პირველი ქართული დამოკრატიული რესპუბლიკა, რასაც საფუძველი დაუდო 1918 წლის 26 მაისის დონისძიებამ.

## § 2. საქართველოს დამოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობები

პირველი მსოფლიო ომის შედეგად საერთაშორისო ვითარება უადრესად რთული და დაძაბული იყო. ჯერ კიდევ ნათლად არ იყო განსაზღვრული სახელმწიფოთა განვითარების მომავალი, საქართველოს ჩრდილოეთით მდგრადი და სამოქალაქო მთავრობა არ იყო. კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. საჭირო იყო მკვეთრად გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბება და მისი პრაქტიკული განხორციელება, რაც უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

საქართველოს დამოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კურსი ზოგადად ასეთი სახით წარმოდგება:

ა) საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საფუძვლად, სრული ნებირალიტეტი გამოაცხადეს;

ბ) ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ურთიერთობის მოგვარება მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანთან და სომხეთთან). რთული იყო საზღვრების მოწესრიგების საკითხის მოგვარება.

გ) საქართველოს 1918 წელს ორიენტაცია აღებული ჰქონდა გერმანიაზე, რომელიც ირწმუნებოდა, აუცილებლად იცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და დაეხმარებოდა, მაგრამ ეს იმედები გაცრუევდა.

დ) 1918 წლის ნოემბერში, გერმანიაში რევოლუციამ დაამხო კაიზერული რეჟიმი. გაუქმდა ბრესტ-ლიტოვსკის სელშეგრულება. ისტორიის სარბიელზე გამოჩნდნენ ინგლისი და თურქეთი, მათ თავისი ინტერესები ჰქონდათ ამიერკავკასიაში.

ე) მაღვ ამიერკავკასია ინგლისის გავლენის ქვეშ მოექცა, ბაქოსა და ბათუმში ინგლისის არმიის ნაწილები შევიდნენ.

ვ) საქართველოს საგარეო პოლიტიკა, ქვეყნის ბედი, ძირითადად ინგლის-საფრანგეთზე დამოუკიდებული გახდა.

ზ) საქართველოს ხელისუფლებისათვის სასწრაფოდ მოსაგვარებელი გახდა კონფლიქტი სომხეთთან. სომხეთის შეიარაღებულმა რაზმებმა თავისი მთავრობის მითითებით დაიკავეს სანაიანის და ალავერდის ტერიტორია. ეს იყო სომხეთის მთავრობის უკანონო მოქმედება.

ო) საქართველოს ხელისუფლებისთვის მოსაგვარებელი გახდა: 1. 1919 წლის 12 იანვარს ბათუმში შევიდა ინგლისელთა ჯარი. ამიერკავკასიის ინგლისურმა წარმომადგენლობამ ბათუმი თავის საკუთრებად გამოაცხადა; 2. ჩრდილოეთით დენიკინის გავლენის ქვეშ იყო უქანას ე.წ. რესპუბლიკა, ის საქართველოს ესაზღვრებოდა სოჭის რაიონით. დენიკინი არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მას რესეროს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა; 3. როგორი ვითარება შეიქმნა საქართველოს სამხრეთში, მას სამი დამპყრობელი გამოუჩნდა – თურქეთი, რუსეთი (დენიკინის სარდლობა), ინგლისის წარმომადგენლობა.

ი) საქართველოს ხელისუფლებას უნდა გამოეყენებინა უველანირი დიპლომატიური შესაძლებლობა, რომ აღეკვეთა თურქეთის, დენიკინისა და მის ზურგს ამოფარებული ინგლისის, კავკასიის მხედრობის სარდლობითი დაპყრობითი გეგმები.

კ) საქართველოს დამოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების საზრუნვს, საგარეო ურთიერთობაში, წარმოადგენდა მისი ცნობა უცხო ქვეყნებისა და სახელმწიფოების მიერ. ეს კი უნდა გადაწყვეტილიყო პარიზის საზავო კონფერენციაზე. საქართველოს დელეგაციამ პარიზის საზავო კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი, რითაც მოითხოვდა მოკავშირეთა საბჭოსაგან დამოუკიდებლობის ოფიციალურ აღიარებას, მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

ლ) საქართველოს საგარეო ვითარება კიდევ უფრო გართულდა

1920 წლის დამდეგიდან დენიკინის არმია განდევნებს კავკასიონდან და აპრილის ბოლოს წითელი არმიის ნაწილები ბაქოში შევიდნენ აზერბაიჯანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ეს კი ნიშანი იყო საქართველოსთვისაც.

მ) ასეთ ვითარებაში საქართველოს მთავრობას საიმედოდ მოეწვენა რუსეთთან სამშენებლო და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადგება. 1920 წლის 7 მაისს, რუსეთ-საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რითაც რუსეთმა სცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მაგრამ ასეთი ვითარება მაღლ შეიცვალა. 1921 წლის 25 ოქტომბერის წითელი არმიის ნაწილები თბილისში შეიიდნენ.

6) საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ იმავე დღეებში გადაწყვიტა სასწრაფოდ წასულიყო ემიგრაციაში. 1921 წლის 18 მარტს, მთავრობამ დამფუძნებელი კრების ერთი ნაწილის თანხ-ლებით დატოვა საქართველო და ევროპაში, პარიზში გაემგზავრა.

§3. ეკროპაში ქართული სამხედრო ემიგრაციის მიზეზები

XX-საუკუნის 20-იანი წლები ურთელესი პერიოდი იყო საქართველოსთვის, დამოკრატიული საქართველოს მთავრობის დამხობის შემდეგ ქვეყანაში მთელი ძალაუფლება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის – „რევოლუციური კომიტეტის“ ხელში გადავიდა საქართველოს ოკუპაცია (რევოლუციური კომიტეტი, ჩამოყალიბდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევკების) კავკასიის ბიუროს მიერ 1921 წლის 16 თებერვალს. მის შემადგენლობაში იყვნენ ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიაზა, ალექსანდრე გეგმური, ა. ნაზარეთიანი, ბესარიონ კვირკველია. ეს ორგანო განუხერედად ანხორციელებდა რუსეთის, კრემლის ინტერესებს. იქმნებოდნენ ასევე საგუბერნიო საქალაქო და სამაზრო რევოლუციები, რომლებიც ქართველ ხალხს მოუწოდებდნენ მორჩილების სკენ. რევოლუციების ძალაუფლება უკანდახევას უფრო წარმოადგენდა მმართველობის სისტემაში, რასაც ქართველი ხალხი ვერ შეიგუა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კონსტანტინე ბოლოს გავლით 1921 წლის აპრილში პარიზში ჩატვიდა, ჩასვლისთანავე შეუდგნენ საქმიანობას, რათა დახმარებისთვის განეწყოთ ეკროპის ქვეყნების ხელისუფალნი ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვ. აპრილშივე დაეგზავნათ მემორანდუმი, სადაც აღწერილი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ დადგენული ხელშეკრულების ფაქტები. ეპრობის დიდ სახელმწიფოთა მთავრობების წევრებთან ოფიციალურ შეხვედრებში, ქართველები მოითხოვდნენ, რომ ეს მთავრობები ჩარეცდიდებნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, რათა რუსეთს გაჟვანა

თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან, მაგრამ ეს მცდელობა არც თუ წარმატებული იყო.

## თავი II. ეპონაში ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიულადაფიული მიმოხილვა

ქართული ისტორიოგრაფიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ხელისუფლების ემიგრაციას ვვრობაში, ძირითადად საფრანგეთში, არა ერთი პოლიტიკოსი და მეცნიერი შეხებია. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიჰყრო უახლოეს პერიოდში გ. სულამის მიერ გამოცემულმა ნაშრომმა: – „ქართული ახტიათა მიზრაცია და სპეციალისტურები“.

გ. სულაძის საკმაოდ კრცელი გამოკვლევა ექვარება მდიდარ საარქივო პირების, რომლებიც დღემდე უცნობი იყო ფართო საზოგადოებისთვის. ნაშრომში თითქმის სრულიად ზედმიწევნით არის გადმოცემული ქართველ პოლიტიკურ წარმომადგენელთა ბიოგრაფია, ინდივიდუალური თვისებები, მათი ურთიერთობა ერთმანეთთან და ევროპული სამყაროს გამოჩენილ პოლიტიკურ-სახელმწიფო მოღვაწეებთან. ევროპის ქვეყნების ხელისუფლებასთან ქართველ პოლიტიკოსთა დამოკიდებულება განსაკუთრებით გაძლიერდა XX-საუკუნის 30-იანი წლების შუა პერიოდიდან 50-იანი წლების დასასრულამდე: საფრანგეთთან, გერმანიასთან, ინგლისთან, იტალიასთან. ეს დამოკიდებულება გამოიკვეთა ამ ქვეყნებში და მაშინდელ ევროპაში მიმდინარე ისტორიულ პროცესებთან უშეალო მონაწილეობაში, რასაც მათ საკუთარი ეროვნები ინტერესების შესრულება კარნახობდა. მიგვაჩნია, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ჰქიდროდ იყო დაპავშირებული ქართული სამხედრო ემიგრაციის ძირითადი შემადგენლობა პოლონეთსა და საფრანგეთში. ქართული ემიგრანტები განერალიტეტის, ოფიცრებისა და იუნიკერების მოქმედებით დიდად იყო განპირობებული ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო ძლიერების მხარდაჭერაზე.

ქართული ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული მეცნიერებლი მნიშვნელობის გამოკვლევას წარმოადგენს პროფ. ნიკო ჯავახიშვილის ნაშრომი - „ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ“. თბ. 1998 წ. სადაც ვრცლად და სარწმუნო წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე სიღრმისეულად არის წარმოდგენილი პოლონეთ-საქართველოს სამხედრო ურთიერთობის ამსახველი მასალა. ამავე პრობლემის ცალკეულ საკითხებს განიხილავნ ქართველი ისტორიკოს-მკვლევარებლი: ზედგენიძე გ. „ქართველი დიპლომატი ბოგდან გურჯიცი“ (ჟურნალ „მნათობი“, №12, 1965); ბენიძე გ. „საქართველოს სოციალ-პოლიტიკური მდგრადირობა და

სახელმწიფო ბრიობისათვის ბრძოლა 1920-1925 წწ.“ – ობ. 1999 (ცვლილები ემიგრანტული მთავრობისა და პოლიტპარტიების ბრძოლის ტაქტიკაში); მაისურაძე შ. – „ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კვლევის პრობლემები“: ჩხარტიშვილი ც. პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი საკითხები“ (წიგნში ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ობ. 2008) და სხვ.

განსხვავებული დამოკიდებულება საქართველოს XX-საუკუნის 20-იანი წლების მოვლენებისადმი იგრძნობა 1991 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის მხრივ, ა. სურგულაძისა და პ. სურგულაძის ავტორობით გამოცემულ წიგნში – „საქართველოს ისტორია“, საკითხები წიგნი 1783-1990. ის ასახვს ჩვენი ქვეყნის წარსულს ბოლო-ორი საუკუნის მანძილზე. წიგნში, ავტორთა თქმით, „ობიექტურად, ადრინდელი სტერეოტიპების საპირისპიროდ განხილულია ის ფაქტები და მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავდნენ საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-ულტიურულ განვითარებას მე-19 და მე-20 საუკუნეებში“. ახლა გაბეჭდულად მიმდინარეობს ისტორიულ მეცნიერებაში ძველი სტერეოტიპების მსხვრევა; თითოეული ხალხის ისტორიული წარსულის შეფასება, ობიექტურად, ზნეობრივ პრინციპებზე დაყრდნობით ხდება. მაგრამ ავტორები მაღიან მცირე ადგილს უთმობენ ქართული ემიგრაციის საკითხებს.

შეორე პარაგრაფში ერთ-ერთ პირველ საკითხად არის „საქართველოს ემიგრანტული მთავრობა და ევროპა“. მასში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები კონსტანტინების გავლით ჩავიდნენ პარიზში – ნ. ჟორდანია, ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ა. ჩხერიძე, ი. წერეთელი და სხვები. ევროპის დიდ სახელმწიფოთა მთავრობების წევრებთან ოფიციალურ შეხვედრებში მოითხოვდნენ, რომ ეს მთავრობები ჩარეულიყვნენ საქართველოს საქმეებში და იძულებული გაეხადათ საბჭოთა რუსთი, გაეყვანა ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან. ცხადია ასეთი დამოკიდებულება და შეფასება ქართული ემიგრაციისადმი საკმარისი არ არის, ის დაბეჭითებით კვლევას საჭიროებს.

### **III. თავში განხილულია – ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან.**

#### **§ 1. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრანტული გამოცემები**

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ძირითადი წარმომადგენლობა ევროპაში უმეტესად საფრანგეთში განთავსდა. ემიგრანტთა

მისწრაფება უცვლელი რჩებოდა, ეს იყო მიუკერძოებელი სწრაფვა თავისი სამშობლოს, საქართველოს უკეთესი მომავლისთვის, ბრძოლის კველა საშუალებით.

ქართველ ემიგრანტთა მიზნის განხორციელებისთვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მათი გეგმების, მისწრაფებების, იდეების გავრცელებას არა მარტო ევროპაში წასულთათვის, არამედ მთლიანად ქართული ემიგრანტული საზოგადოებისათვის.

1924 წლიდან გამოიცემოდა სხვადასხვა დასახელების უერნალ-გაზეთის: „თავისუფლების ტრიბუნა“ – (1978) „გუშაგი“ – (1994). „ოთორი გიორგი“, „სამსედრო ფურცელი“, „მომავალი“, „ახალი საქართველო“, „კავკასიონი“, „სამშობლოსათვის“. თითოეულ მათგანს თავისთავადი ისტორია და დანიშნულება ჰქონდა.

XX-საუკუნის 20-იან წლებში (1924 წლის 24 ოქტომბერს) საფრანგეთში, პარიზში დაფუძნდა ქართველთა პატრიოტული ახალგაზრდული ორგანიზაცია „ოთორი გიორგი“, გენერალ ლეო კერესელიძის წინამდღლობით. ამ ორგანიზაციამ დაიწყო თავისი გაზეთის „ოთორი გიორგის“ გამოცემა. მისი პირველი ნომერი გამოვიდა პარიზში 1926 წლის 25 აგვისტოს.

გაზეთ „ოთორი გიორგის“ 1930 წლის აგვისტოდან (№31), 1934 წლის იანვარ-თებერვლამდე (№72-73), რედაქტორობდა მიხაკო წერეთელი, ხოლო 74-75 ნომრებს ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია, 1935 წლის აპრილიდან (№86) კი გაზეთს ვიქტორ ნოზაძე ჩაუდგა სათავეში. მალე ის ჩამოაშორეს გაზეთის ხელმძღვანელობას და დაუბრუნეს ლეო კერესელიძეს. მისი თანამშრომლები იყვნენ: კალ სალია, მიხ. წერეთელი, სიმ. ბერეჟიანი, ს. ციციშვილი, ვ. ციცქიშვილი, ლ. კერესელიძე, შ. სოხაძე, ბ. გიორგაძე, ირ. ოთხმეზური, ა. ხიმშაშვილი, გენ ალ. ერისთავი (რედაქტორობდა დამატებას „სამსედრო ფურცელი“) კოკი დადიანი, ვლ. ემუხვარი, დიმ. ჭიათურიშვილი დ. კლდიაშვილი, შ. ამირეჯიბი, გ. ჯაყელი, რ. გაბაშვილი, გ. მხეიძე და სხვ.

გაზეთ „ოთორი გიორგის“ პარალელურად, 1934 წლიდან პარიზში გამოსვლა დაიწყო ამავე ორგანიზაციის (ქართული პატრიოტული ორგანიზაცია) მეორე გაზეთმა – „მომავალ“-მა. რომელსაც ხელმძღვანელობდა ალ. მანველაშვილი. შემორჩენილია ამ გაზეთის მხლობ სამი ნომერი: 1934 წ., აგვისტო, №4; 1933 წ. აპრილი, №8; 1938წ., №10-11.

1924 წლის ნოემბერში გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით, პარიზში დაიბეჭდა გაზეთ „ახალი საქართველოს“ პირველი ნომერი. ეს იყო ორკვირეული გამოცემა. ის საბჭოთა მხარეზე იდგა, ქართველ ემიგრანტთა სამშობლოში დაბრუნებების იდეას ქადაგებდა.

ის ორი წლის განმავლობაში პარიზსა და ბერლინში გამოდიოდა.

სპირიძონ კედიამ პარიზში დაარსა ქართულენოვანი ჟურნალი – „სამრბლოსათვის“. ეს გამოცემა არა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, არამედ ზოგადად – „ეროვნულ პოლიტიკურ ორგანოდ“ იწოდებოდა, ის სპირიძონ კედიას რედაქტორობით გამოდიოდა თვეში ერთხელ, 1925 წლის მაისიდან. გაზეთის პირველი ნომერი საქართველოშიც შემოვიდა ფარულად.

საფრანგეთში, პარიზში, გამოდიოდა ჟურნალი „პავასიონი“, რომელშიც ქვეყნდებოდა მდიდარი და საინტერესო წერილები ქართველ მხატვართა შემოქმედებაზე, მათ აზროვნებაზე (დ. კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, მიხეილ ბილანიშვილი).

ქართული ისტორიოგრაფიისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ „თეთრი გიორგის“ ბერლინის ორგანიზაციასაც პქონია თავისი საკუთარი ორგანო – „თეთრი გიორგი“ (ბერლინის გამოცემა), რაც იმ უცილობელ სინამდვილეს გვიდასტურებს, რომ გერმანიაშიც საკმაოდ მრავლად იყო ქართველ ემიგრანტთა შემადგენლობა.

მეტად საინტერესო ისიც, რომ „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის არსებობა დასტურდება XX-საუკუნის 50-იან წლებში პარიზში. 1950-იან წლებში პარიზში კ. სალიას რედაქტორობით ქართულ ენაზე გამოვიდა ჟურნალი „ბერი ქართლისა“. ჟურნალში მირთადად პატრიოტული შინაარსის წერილები, ქრონიკალური მასალები ქვეყნდებოდა.

ასევე „თეთრი გიორგის“ სულიერ თანამდგომად შეიძლება მივიჩნიოთ გერმანიაში, ქალაქ მიუნხენში გაიოზ მაღლაკელიძის ინიციატივით 1954 წლის 26 იანვარს დაარსებული „ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში“.

მესამე თავის მეორე პარაგრაფში გადმოვეცით ემიგრანტული პოლიტიკური კომიტეტების შექმნის პირობები, პარტიათა დამოკიდებულება, კომიტეტების წევრთა შემადგენლობა, პოლიტიკური კომიტეტების მიზნები, მსოფლიმედველობა, მათი ურთიერთდამოკიდებულება ეკრანის ქვეყნებში არსებულ რუსულ და კავკასიურ კომიტეტთან. ჯერ კიდევ 1924 წელს ქ. სტამბოლში შეიქმნა – „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი“, ხელი მოაწერეს: მიხაკო წერეთელმა, დავით ვაჩაძემ, ალექსანდრე ასათიანმა; აზერბაიჯანელთაგან – ხოსრო სულთანზადემ, აბდულა ალი ემირ-ჯანმა, შეის ისლამ-ზადემ; ჩრდილოეთ კავკასიელთაგან – გასან გირეიმ, ჯაბაგიშ (ჩეჩენი), ალისან კანტემირმა (ოსი), პაიტეკ ნატომოვმა (ჩერქეზი). 1925 წელს უარი განაცხადეს სომხებმა.

არსებობდა ორგანიზაცია „კავკასია“, რომელშიც შედიოდა გენერალი გ. კვინიკაძე. ეს ორგანიზაცია ცდილობდა დაკავშირებოდა

რუსეთის ემიგრანტულ ანგისაბჭოთა ორგანიზაციას „Русский обще воинский союз“ (რუსული საერთო სამხედრო კავშირი). ქართველ ემიგრანტებს პქონდათ ე.წ. „ქართული ეროვნული ცენტრი“; ანგისაბჭოთა ყაიდის ემიგრანტული ორგანიზაცია „ქართლოსი“, არსებობდა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“; 1941 წლის ბოლოსთვის ქ. ბერლინში დაფუძნდა „ქართული ნაციონალური კომიტეტის“ საინიციატივო ჯგუფი. ამ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამაარსებელი – მიხაკო წერეთელი. შემდეგ ამ ორგანიზაციის ბაზაზე (1943 წ. 25 ოქტომბერს), შეიქმნა ახალი მრავალმხრივი ფუნქციით აღჭურვილი ორგანიზაცია – „ქართული საკავშირო “(სამოკავშირო) შტაბი. მისი სამხედრო შტაბი ჩაიბარა გ. გაბლიანმა; ერთიან კავკასიურ კომიტეტს კი სათავეში ჩაუდგა ცაიტცლერი: პარიზში ჩამოყალიბდა პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“, ხელმძღვანელები გახდნენ მიხ. კედია და უვა. გეგმები; გერმანელთა თვალში ნდობით სარგებლობდა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, ფაშისტური ყაიდის ორგანიზაცია; მის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა ე.წ. „დირექტორია“: არსებობდა „ქართველ ემიგრანტთა ბიურო“. მისი დანიშნულება იყო – ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; შექმნილი იყო ანგისაბჭოთა ორგანიზაციები: „რუსული კომიტეტი“, „რუსეთის ერების განთავისუფლების კომიტეტი“.

მესამე თავის მესამე პარაგრაფში გაშექებულია ქართული ემიგრანტული ლეგიონების შექმნის ისტორიული პირობები: ჩვენი ძირითადი ინფორმაცია ეფუძნება 1948 წლის საარქივო დოკუმენტებს:

1. „საქართველოს ნაციონალური ლეგიონის“ ფორმირება გერმანელებმა დაიწყეს 1942 წ. გაზაფხულზე ქ. ვარშავის ახლოს, ვესოლასა და ზელონკაში. (აქ თავმოყრილი იყვნენ ქართველი ტყვეები).
2. მეორე ბატალიონი ჩამოყალიბდა ვესოლაში. 1942 წელს ფიცის დადების შემდეგ, გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში, კრასნოდარის რაიონში;
3. მესამე ათასკაციანმა ბატალიონმა (№21/198) ჩამოყალიბება დაიწყო 1942 წლის სექტემბერში. პოლტავის ოლქის ქ. ხენკოვოში;
4. მეოთხე ბატალიონი ჩამოყალიბდა პოლტავის ოლქის ქ. გადიანში;
5. 795-ე ბატალიონი მოქმედებდა ქ. შერბურგის (საფრანგეთი) რაიონში.
6. 798-ე ბატალიონი 1943 წლის დასაწყისში დაიშალა.
7. 797-ე ბატალიონის მეთაური იყო ლეიტენანტი შალიკაშვილი (გრანატილში);

8. 798-ე განლაგებული იყო მორბიგიაში: მეთაური იყო ბაქრაძე;
9. 799-ე ბატალიონი მოქმედებდა კლერმონ-ფერანის რაიონში;
10. ბატალიონი (№11/193) 1944 წლის იმყოფებოდა ჩრდილოეთ იტალიაში.
11. ერთ-ერთი ბატალიონი 1944 წლის ზაფხულში დისლოცირებული იყო ქ. ათენში;
12. სპეციალური დანიშნულების ბატალიონი „ბერგმან“-ი („მთის კაცი“) შეიქმნა 1942-წ.
13. „ბერგმანის“ – I ასეულს მეთაურობდა ქ. ოქროპირიძე;
14. „ბერგმანის“ II ასეულს ხელმძღვანელობდა ბერგმან ლიანოვი;
15. „ბერგმანის“ III ასეულს ქსომ ალექსეევი;
16. „ბერგმანის“ IV ასეულს ცუცქირიძე;
17. „ბერგმანის“ ასეულს სარქის გახვერდიანი. ყველა ისინი საბჭოთა არმიის ყოფილი მოსამსახურები იყვნენ.

მალე ბერგმანს შეუერთეს სადაზვერვო-დივერსიული დანაყოფები „თამარ-I“, „თამარ-II“. „ბერგმანი“ 1942 წლის აგვისტოში ჩავიდა პიატიგორსკში და ჩაირიცხა გერმანიის 44-ე საარმიო კორპუსის შემადგენლობაში, იბრძოდა მოზდოვის რაიონში, საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ.

18. ქართველთა მონაწილეობით ჩამოყალიბდა გერმანული დანაყოფი – „ბრანდენბურგის დივიზია“ – 1942 წლის შედგებოდა 3 მირითადი ბატალიონისგან.

დღემდე ნათლად არ არის ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრი გერმანული დროშის ქვეშ მებრძოლი – ბატალიონების, თუ დანაყოფების, ქართველ ჯარისკაცთა რაოდენობაზე, ოფიცერთა შემადგენლობაზე და შემდგომში მათი ბედის შესახებ.

**სადისერტაციო ნაშრომის IV თავში** განხილულია ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მსოფლმხედველობა. ეს ნაწილი წარმოდგენილია სამი პარაგრაფით.

**პირველ პარაგრაფში** „თეთრი გიორგი“ და ქართული ეროვნული მოძრაობა – განხილულია პარიზში 1924 წლის დაარსებული მოძრაობა – „ქართული პატრიოტულობის“ მიერ გამოცემულ „მომავალში“, სადაც შეადგინეს დებულება 10 მცნების სახით: საქართველო არის ერთ; საქართველო არის სახელმწიფო, ქართველებისგან შემდგარი; „მომავალი“ უარყოფს პოლიტიკურ პარტიებს; „მომავალი“ ეცდება დაამკვიდროს ისტორიული ტრადიციები; განამტკიცოს ერში სულიერება, „მომავალი“ დგას კოველივე პარტიის გარეშე; „მომავალს“ განზრახული აქვს კროვნული ინტერესების დაცვა; საქართველო რელიგიად „მომავლისათვის“; „მომავალი“ არის თავისუფალი, უწმინდესი შეფიცვა, უტყუარი პატრიოტიზმით აღჭურ-

ვილი და საქართველო სამლოცველო დიდებაა მისთვის.

**მეორე პარაგრაფში**, სადაც განხილულია „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში (1918-1921)“ – მიუჟთითებთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918-1920 წლებში მეტნაკლებად გადაჭრა ქვეყნის საშინაო პრობლემები, საგარეო ურთიერთობის საკითხი – დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით მისთვის მნელი აღმოჩნდა. ამავე დროს რთული გამოდგა „რუსული ფაქტორის“ გადალახვა.

1921 წლის 25 თებერვალი გახდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაცემის დღე. რამაც განაპირობა ქვეყნიდან მთავრობის წასვლა ემიგრაციაში, ევროპაში, ძირითადად საფრანგეთსა და პოლონეთში.

**მესამე პარაგრაფი** ემდგნება „ქართული ემიგრაციის შემოქმედებით გზას“, განალიზებულია სპ. კედიას, გრიგოლ ვეშაპელის, ნ. უორდანიას საქმიანობა პოლიტიკურ-სამეცნიერო დარგში. 1924 წელს გ. ვეშაპელის რედაქტორობით დაიბეჭდა გახ. „ახალი საქართველოს“ პირველი ნომერი: სპ. კედიამ პარიზში ქართულებოვანი უურნალი დაარსა, რომელსაც ერქვა „სამშობლოსათვის“.

განსაკუთრებით მრავალმხრივი იყო კ. სალიასა და ნ. სალიას პუბლიცისტური, ლიტერატურული და სამეცნიერო შემოქმედებითი მოღვაწეობის ასპარეზი.

**ნაშრომის მესუთე თავში** – „ქართული სამხედრო ემიგრაცია ევროპაში და კავკასიისათვის ბრძოლა 1942-1943 წ.წ.“ – განიხილება XX-საუკუნის ურთულეს საომარ ოპერაციებში ქართველი გენერლების, ოფიცრების, იუნირების, ჯარისკაცების მონაწილეობის საკითხები.

**პირველ პარაგრაფში** განხილულია მასალები 1918-1921 წლების საქართველოს გენერალიტეტის შესახებ, გადმოცემულია საარქივო ფონდების ძირითადი საბუთები. გენერლების, მაღალინის რაოდენობისა და მოღვაწეობის შესახებ. დაახლოებით 50-გენერალი ემსახურებოდა მაშინდელ საქართველოს.

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ევროპაში გაპყვა სამხედრო ემიგრაციის წარმომადგენლობა. ეს იყო ქართული ემიგრაციის მეორე შტო, რომელიც პოლონეთში ჩავიდა. ეს იყო ისტორიული მოვლენა საქართველოს XX-საუკუნის ცხოვრებაში. ქართველ სამხედროთა ძირითადი ბირთვი პოლონეთის ხელისუფლების მხარდაჭრას ელოდა.

**მეორე პარაგრაფში** მიუჟთითებთ, რომ პოლონეთში ქართველ სამხედრო ემიგრაცითა რიცხვი იუნირების ჩათვლით 300-მდე აღწევდა. პირველ წლებში, პოლონეთის არმიაში ქართველ ემიგრანტ-

თავის არავინ ყოფილა საქონტრაქტო ხელშეკრულებით მიწვეული, მხოლოდ შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის წლებში, მოხერხდა მათი დასაქმება.

**შესაბამის პარაგრაფში** – „ფაშიზმი ევროპაში და ქართული სამხედრო ემიგრანტები“, გამახვილებულია უცრადდება XX-საუკუნის 40-იანი წლების მოგლენებში ქართველი სამხედრო ემიგრანტების მონაწილეობის საკითხებზე. დღეისთვის, 2011 წლის ოქტომბრისათვის, საქართველოს სამეცნიერო წრეებში, საუბრობენ ქართველ სამხედრო ემიგრანტთა დამსახურებაზე – ერთი მათ გმირებად მიიჩნევნენ; მეორენი – განმათავისუფლებლებად; მესამენი – ბარიკადების იქით მდგომ ქართველებად; მეორენი – გაბნეულებად; ჩვენ ვფიქრობთ – უკეთ ისინი ქართველები იყვნენ და საქართველოსთვის თავისი მეთოდებით იღწვოდნენ.

**შეოთხე პარაგრაფში** – „პავასიისთვის ბრძოლა (1942-1943) და სამხედრო ემიგრანტები“ განხილულია ფაშისტური გერმანიის დაპყრობითი გვემა კავკასიაში – „ედელვაისი“, მისი მიზნები, საომარი ოპერაციები და შედეგები. შექმნილი იყო 7-ბატალიონი ქართველთა მიერ: I – შ. მაღლაკელიძის სახელობის; II. გ. სააკაძის, III – დ. აღმაშენებლის, IV – თამარ მეფის, V – მეფე ერეკლეს, VI – შ. რუსთაველი, VII – ი. ჭავჭავაძის სახელობისა; სამხედრო ემიგრაციისთვის და ფაშისტური ჯარების დამარცხებაში საერთოდ და კერძოდ კავკასიაში, განსაზღვრა ქართული სამხედრო ემიგრაციის ბედი. მათ თავისი ისტორია შექმნეს. ეს საქართველოს ისტორიაა.

## სამრთო დასკვნები

1. ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის ევროპის ქვეყნებში გასვლის ერთ-ერთი მიზეზი გახდა საქართველოს პირველი რესუბლიკის ხელისუფლების საშინაო პოლიტიკური, უკონმიკური და სოციალური მდგომარეობის მოუწესრიგებლობა.
2. განსაკუთრებული ძირითადი მიზეზი გახდა – 1921 წლისათვის, რუსეთის საგარეო პოლიტიკისადმი დამოკიდებულება. წითელი ჯარის XI არმიის საომარი ოპერაცია საქართველოში და 1924 წლის იუნკრების აჯანყება რუსული რევიმის წინააღმდეგ.
3. ქართული ემიგრაცია უცხოეთში, ევროპაში ორი მიმართულებით ჩამოყალიბდა: 1. პოლიტიკური (სამთავრობო) ემიგრაცია; 2. სამხედრო (გენერალიტეტი და იუნკრები) ემიგრანტული შტო.
4. ქართული პოლიტიკური (სამთავრობო) ემიგრაციის წარმომადგენლობა განთავსდა საფრანგეთში, პარიზსა და მის მახლობლად, სადაც აგრძელებდა საქართველოს განთავსუ-

ფლებისათვის საქმიანობას. თავისი იდეოლოგიის ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბებული პქონდა ევროპის ქვეყნების დახმარების იმედი და პრაქტიკული მხარდაჭერის მიღწევისათვის იყენებდა დიდი ქვეყნების მთავრობებთან შეიძლო დიპლომატიურ ურთიერთობას.

5. ქართული სამხედრო (გენერალიტეტი და იუნკრები) ემიგრანტული შტო განლაგდა ძირითადად პოლონეთში. ქართველ სამხედროთა უმრავლესობა წლების განმავლობაში არ იყო პოლონეთის ხელისუფლების მიერ. მხოლოდ XX-საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო მათი საკონტრაქტო-სახელშეკრულებო საქმიანობა, სამხედრო სპეციალობის მიხედვით, რასაც ხელი შეუწყო პოლონეთის ხელისუფლებაში მოსულმა მარშალმა პილსუდსკიმ.
6. პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველზე ქართული სამხედრო ემიგრანტული შტოს ბევრი წარმომადგენელი ჩადგა ევროპაში, ახლად გამოჩნდილი ფაშისტური რეჟიმის სამსახურში და აქტიური მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომის, დიდ სამაჟლო ომში, კავკასიისთვის წარმოებული ბრძოლების დროს (1942-1943 წ.წ.).
7. საქართველოს დემოკრატიული რესუბლიკის მთავრობისა და ხელისუფლების მიერ ვერ მოწესრიგდა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, როგორც ახლო მეზობლებთან, ისე ევროპის ქვეყნებში.
8. საგარეო ურთიერთობის დარგში, მეზობელ აზერბაიჯანთან და სომხეთთან, რუსული იყო საზღვრების ტერიტორიული მოწესრიგების საკითხის მოგვარება.
9. 1918 წლისთვის საქართველოს თავისი ორიენტაცია აღებული პქონდა გერმანიაზე და ელოდა მისგან მხარდაჭერას. ეს იმდევნები გაცრუვდა.
10. ისტორიის სარბილზე გამოჩნდენ ინგლისი და თურქეთი თავისი ინტერესებით, კავკასიის ქვეყნებისა და კერძოდ საქართველოს მიმართ.
11. მალე ამიერკავკასია ინგლისის გავლენაში მოექცა. ბაქოსა და ბათუმში ინგლისის არმიის ნაწილები შევიდნენ. საქართველოს საგარეო პოლიტიკა, ქვეყნის ბედი ძირითადად ინგლის-საფრანგეთზე დამოკიდებული გახდა.
12. საქართველოს ხელისუფლებას უნდა მოვევარებინა დიპლომატიური გზით თურქეთის, დენიკინისა და მის ზურგს ამოფარებული ინგლისის – კავკასიის მხედრობის დაპყრობითი გეგმები.
13. საქართველოს დემოკრატიული რესუბლიკის ხელისუფლების

- მცდელობა, მიეღწია ევროპის ქვეყნების მიერ აღიარებას, წარუმატებელი აღმოჩნდა.
14. სრული მარცხი განიცადა ემიგრანტული პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სამხედრო ემიგრანტული შტოს მიერ წამოწევებულმა მოძრაობამ, ფაშისტური გერმანიის შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით, მასში აშკარა საომარი მონაწილეობით, საქართველოს განთავისუფლების მცდარმა მსოფლმხედველობრივმა წარმოდგენება.
  15. XX-საუკუნის 40-იანი წლების ევროპაში შექმნილმა მკაცრმა ვითარებამ განმსაზღვრელი უარყოფითი როლი შეასრულა ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის შემდგომ ბედზე.
  16. ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების ძირითადი შემადგენლობა ვედარ ედირსა სამშობლოში, საქართველოში დაბრუნებას.
  17. ქართული სამხედრო ემიგრაციის შემადგენლობიდან წარმომდგარი, დიდი წოდების – გენერალ კოლონელის მატარებელი გახდა, ამერიკის შეიარაღებულ ძალებში, მაღალი თანამდგობის პიროვნება – ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი.
  18. ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის შესახებ, მისი ისტორიული მისის შეფასებისას გვხვდება მოსაზრება – მიუხედავად მისა, რომ ისინი იბრძოდნენ საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, „იდგნენ ბრძოლის ბარიკადების მეორე მხარეს, მათ თავისი რწმენა პქონდათ და ისინი მაინც ქართველები იყვნენ“. ვფიქრობთ, ასეთი შეფასება გარკვეულ წინააღმდეგობას შეიცავს, პირველ რიგში იმიტომ, რომ სრულიად მიუღებელი და მცდარი აღმოჩნდა უცხო შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით საკუთარი ქვეყნის ეწ. განთავისუფლების ემიგრანტული იდგა; მეორე ის, რომ მაშინდელმა ფაშისტურმა პროპაგანდამ გარკვეული ზემოქმედება მოახდინა და მცდარი წარმოდგენა ჩამოუყალიბა ემიგრანტ ქართველობას. ჩააყენა ისინი თავის სამსახურში; მესამე ის, რომ ემიგრანტები ევროპის ქვეყნებში გამუდმებით ცდილობდნენ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე და იუქნებდნენ ყველა შესაძლებლობას ამისთვის. ყოველივე ეს აიძულებდა მათ, იარაღით ხელში, ჩამდგარიყვნენ ფაშიზმის სამსახურში.
  19. ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის იდეოლოგიური მსოფლმხედველობა, მცდელობა შეძლებისდარად გამოყენებინა ევროპის დიდი ქვეყნების თანადგომა, მარცხით დასრულდა. ისევე, როგორც ფაშისტური იდეოლოგია და საომარი მოქმედებები.
  20. ქართული-სამხედრო პოლიტიკური ემიგრაცია ევროპაში თითქმის 50 წლის განმავლობაში აგრძელებდა მოღვაწეობას. მხოლოდ XX საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ქართული პოლიტიკური ცხოვრებიდან წავიდა ორი პიროვნება, ხოე უორდანია, რომელიც გარდაიცვალა პარიზში (1953) და იოსებ სტალინი – მოსკოვში, ამავე წელს, თითქოს ამით დასრულდა მრავალწლიანი დაპირისპირება.
- დისერტაციის ძირითადი დებულებები გამოვლენილია ავტორის მიერ შემდეგ პუბლიკიური გამოცემის:**
1. პოლონეთში ქართული სამხედრო ემიგრაციის ისტორიის ზოგიერთი ასპექტი. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, კრებ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, №1 (7), თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2010.
  2. ქართული სამხედრო ემიგრაციის ისტორიისათვის პოლონეთში. – პროფესორ-მასწავლებელებითა, დოქტორანტთა და მაგისტრანტთა გაერთიანებული კონფერენციის მასალები. №1. თბ. გამომც. „უნივერსალი“, 2010.
  3. ქართველი მაღალჩინოსანი ოფიცრები ემიგრანციაში. – პროფესორ-მასწავლებელებითა, დოქტორანტთა და მაგისტრანტთა გაერთიანებული კონფერენციის მასალები, №1. თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2010.
  4. საქართველოს „ბორჩალოს მხარის, სამხედრო გენერლები და გამოჩენილი შეიძლები“. – კრებულში „ისტორია და მისი პრობლემები“ – ქ. ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემობა. ბაქო, 2010.
  5. სომხეთი გენერლები საქართველოდან. – ქ. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი – „ისტორია და ხელოვნება“. 2010.
  6. „ედელვასის აღსასრული“. პროფ. ელ. მამუკაშვილითან თანაავტორობით, მონოგრაფია. თბ. გამომც. „სვეტი“. 2011.
  7. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრანტული გამოცემები. – პროფესორ-მასწავლებელებითა, დოქტორანტთა და მაგისტრანტთა გაერთიანებული კონფერენციის მასალები. №2. თელავი. 2011.
  8. ქართული სამხედრო პოლიტიკური ემიგრაცია ევროპაში. – პროფესორ-მასწავლებელებითა, დოქტორანტთა და მაგისტრანტთა გაერთიანებული კონფერენციის მასალები, №2. თელავი, 2011.

**GIORGİ BEZHITASHVILI**

**GEORGIAN MILITARY-POLITICAL IMMIGRATION  
TO EUROPE (1921-1953)**

*History of Georgia – 07.00.01*

HERALD

Thesis presented for aspiring Doctor's Academic Degree of History

Theses has been prepared at Chair of History of Georgia under Iakob Gogabshvili  
